პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ივნისი კვირა 1973 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 135 (15652)

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე 7 დღე დარჩა

მზად ხართ თუ არა ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახვედრად?

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა უკრაინის სს რესპუბლიკის კომპაინერთა წერილი ქვეყნის ყველა მექანიზატორისადმი, რომელიც მოუწოდებს სანიმუშოდ მოემზადონ და ორგანიზებულად დაამთავრონ მოსავლის აღება და მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების დამზადება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაევალათ მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წერილის განხილვა, იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს მოსავლის აღების ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ყველგან ისეთივე ღონისძიებების პრაქტიკულმა გამოყენებამ, როგორიც დასახეს უკრაინელმა მექანიზატორებმა, შეიძლება მოგვცეს დიდი სახალხო-სამეურნეო ეფექტი მოსავლის აღების ვადების შემცირებასა და მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებაში მისი დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების გზით.

სწრაფად, უდანაკარგოდ ავილოთ პურეული!

უკრაინის სს რესპუბლიკის კომბაინერთა წერილი ქვეყნის ყველა მექანიზატორისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი პატრიოტული აღმავლობის გრძნობით ასრულებენ საბჭოთა ადამიანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ხუთწლედის დავალებებს, ახალ ძალებს ვვმატებენ ის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი თავდადებული შრომით წვლილი შევიტანეთ მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში. წინ არის მკა — მხვნელ-მთესველისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პერიოდი. და იმაზე, რა დაძაბვით, რა უკუგებით ვიშრომეთ მოსავლის აღების აღლოთბისას, დამოკიდებული იქნება მოსავლის ბედი, მიმდინარე წლის და მთელი ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება.

— პარტიისა და ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებამ აღგვიძა სურვილი ჩვენ, უკრაინელ კომბაინერებს, სუსპუბლიკის მექანიზატორთა თოჯმის მილიონიანი არმიის წარმომადგენლებს, მოგვმართა თქვენთვის ამ წერილით, გაგაფრთხილებინა ჩვენი საქმეები და გეგმები, მოგთათბირებოდით, როგორ ჩავატაროთ უკეთ მომავალი მკა.

ხუთწლედის მესამე წელს დიდ ამოცანებს წყვეტენ უკრაინის სოფლის მშრომელები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჯრასნოდარელ მიწათმოქმედთა პატრიოტულ თაოსნობას, აქციურად ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და 1973 წლისათვის იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. გათვალისწინებულია ვალდებულებანი, მივიდწიოთ შემდეგ მიზნებს: მოვიყვანოთ 40 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეულის საერთო მოსავალი, ნათესის თვითეული ჰექტარიდან ავიღოთ 25-26 ცენტნერი მარცვლეული, 18,2 ცენტნერი მზესუმზირა, 295-300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, მნიშვნელოვნად გავზარდოთ კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვების და სხვა კულტურების წარმოება, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სპეციალისტები პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

მოსავლის აღება მარცვლეულის და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამუშავების, ბრძოლის ხუთობის დასკვნითი ეტაპია.

ამ საქმეში გადამწყვეტი წვლილი უნდა შეიტანონ სოფლის მექანიზატორებმა. მაგრამ განსაკუთრებით დიდია კომბაინერების, ტრაქტორისტებისა და შოფრების როლი და პასუხისმგებლობა, მკის პერიოდში ხომ მოყვანილი მოსავლის ბედი მოლიანად მათ ხელშია.

ვემზადებით რა მოსავლის აღებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მოსავლის დანაკარგების თავიდან აცილებას. როცა კომბაინერი თუნდაც ერთ თავთავს კარგავს ვკადრატულ მეტრზე, აკლდება ერთი ფუთი პური ჰექტარზე. ასეთი ჰექტარები კი მილიონები ვვაქვს. აი რაზომ არის, რომ ჩვენი დევიზი: „ერთ ეროვი თავთავი ნაწამებია ნამუშევარი“. ნიკოლაევის, კიროვოგრადისა და სხვა ოლქების მექანიზატორთა მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე მოსავლის ასაღები მანქანები აღიჭურვება დამატებითი სამარჯვეთი, რომელთა საშუალებით იხურება მარცვლეულის შესაძლო დანაკარგების ყველა არხი. თვითეულ მეურნეობაში სპეციალური კომისიები ამოწმებენ მიხათვის ტექნიკის მომზადების ხარისხს. მოსავლის ასაღები არეგულირებენ შეიძლება მივიღოთ და სამუშაოზე დავუშვათ მხოლოდ მაშინ. როცა ისინი აღჭურვილია საჭირო სამარჯვეთი და ვასამავრებელი. რომელიც თავიდან აკავიცილებენ მოსავლის დანაკარგებს. მხოლოდ ამ შემოხვევაში უკითხენ მანქანას ნიშანს „დ-73“ (დაშვებულია 1973 წლის მკისათვის)

კომბაინები. სამკელები ემზადებიან მუშაობისათვის ნათესების მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩაწოლილი პურეულის ასაღებად ჩვენ აღვჭურავთ მათ ღეროთამწეებით. ექსცენტრიკული ტარაბუნებით ან ჩვეულებრივი ტარაბუნის ფრთებზე დამაგრებული სავარცხელებით, დამყოლებითა და ღერძთვადამწეებით. ტანდაბალი პურეულის აღებისას სამკელებს გავუკეთებთ ფარებს, მივამაგრებთ ტარაბუნას ფრთიბს ელასტიკურ ზუსტებებს, სჭირეო „ბპარატს. თუ საჭირო ახდა, ისე გადავაკეთებთ. რომ დაბალი ჭრისათვის გამოდგეს.

მიმდინარე წელს მარცვლეულის ნაკვეთის გაფართოებასთან და მანქანების დატვირთვის გადიდებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსავლის ასაღები ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მაღალი წარმადობით გამოყენებას. ჩვენ გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ ყოველივე ახალი, რაც ხელს უწყობს კომბაინების, სამკელების, ავტომობილების. მისაბმელებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამომუშავების ამაღლებას. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება თვით მკის ორგანიზაციას. სწორედ ამაზე გადამწყვეტწილად დამოკიდებულია ტექნიკის გამოყენება. წელს ჩვენში უფრო ფართოდ გავრცელდება მოსავლის აღების ნაკადური ხერხი. მას გამოვიყენებთ ხუთ მილიონ ჰექტარზე მეტ პურის ყანებში.

კონვეიერი: კომბაინი-ავტომობილი-ეკალო-ელევატორი არა მარტო აჩქარებს მკასა და პურეულის დამზადებას, არამედ საშუალებას გვაძლევს კიდევ მაშინვე გავათავისუფლოთ ყანები მომავალი მოსავლისათვის დასაბუნებლად. ყველა კომბაინი და სამკელი იმუშავებს მთელ სინათლის დღეს, ხოლო იქ, სადაც მათზე განსაკუთრებით დიდი დატვირთვა მოდის, ისინი ღამითაც იმუშავებენ. ყველა შემთხვევაში მოსავლის ასაღებ აგრეგატებს აუცილებელად აღჭურავთ განათებით.

წელს პურეულს ავიღებთ მხოლოდ ნაცადი ჯგუფური მეთოდით. მისი სარგებლობა ყველასათვის ცხადია. ამასთანავე ყველგან იქმნება კომპლექსური ბრიგადები, სადაც კომბაინერები და შოფრები შრომობენ ერთიან კოლექტივად. მიმდევ პუნქტებთან და კალოებთან მათი შეთანხმებული მოქმედებით შრომის ამგვარი ორგანიზაცია ხელს უწყობს მოსავლის აღებისა და პურეულის დამზადების დაჩქარებას. ავტომობილისტებს დაგებმილი აქვთ ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ გამოიყენონ საპოლრანი ბრაფიკი, ავტომატარებლები და მარცვლეულის ტრანსპორტირების მაღალსიჩქარი ფესი, რომლის დროსაც მნიშვნელოვნად გაიზრდება ეიმავე ავტოპარკის გადაზიდული ტვირთის მოცულობა. ადგილებიდან ზაფხულის აღლოთბის ყველა მონაწილის მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებანი.

მინდვრად წელს გავა ჩვეულებრივთან შედარებით მეტი მოძრაგი სახელოსნო, ტექმომსახურების ავრეგატები და ავტოგამწყობები, ხოლო „სოფლტექნიკის“ სახელოსნოები გადაადგილ მკის დღეებში დღეღამურ შუამბაზეგ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოაწყობენ მინდორში მომუშავეთა ცხელი კერძებით მომარაგებას, „ოპერატორები ადგილზე მიტანენ საჭირო პროდუქტებსა და ფართო მოხმარების საქონელს.

უკრაინაში აღმოაჩინეს სოფლის მექანიზატორთა და მათ შორის კომბაინერთა შესანიშნავი კადრები. მთელ ქვეყანაში ცნობილია ორგზის სოციალისტური შრომის გმირი მ. ა. ბრაგა. ოცდათხუთმეტ წელზე მეტია იგი მართავს კომბაინებს ხერსონის ოლქის ყანებში. შარშან მარკ ანდერონის-ძე ბრაგამ მოსავალი აიღო 539 ჰექტარზე და გალეწა 11.640 ცენტნერი მარცვლეული, საშუალოდ ცვლის გამომუშავება ჯაადიდა 23 ჰექტარამდე. მ. ა. ბრაგა არა მარტო თავისი საქმის ოსტატია, არამედ ახალგაზრდობის კარგი აღმზრდელიც არის, ამ ბოლო წლებში მან ტრაქტორისტისა და კომბაინერის პროფესიები შეასწავლა ათასზე მეტ კაცს.

ხმელნიცკის ოლქის ვინკოვეის რაიონის გორკის სახელობის კოლმეურნეობაში შრომობს სოციალისტური შრომის გმირი თ. ვ. კულიკი. შარშან თვითრეი ვლადიმერის-ძე კულიკმა მარცვლეული მომკა 400 ჰექტარზე მეტ ფართობზე და გალეწა თითქმის 12 ათასი ცენტნერი პურეული. თვითეულმა ათასი და მეტი ტონა მარცვლეული აიღეს — ვინიცის ოლქის კრეკოოლის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ვ. ნ. ნიკიფოროვმა, ოდესის ოლქის ბოლგრადის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრის“ მექანიზატორმა ვ. ი. ნიკოლოვმა, ჩერნიგოვის ოლქის, პრილუკის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ მექანიზატორმა მ. მ. გორბატმა, ვოლინის ოლქის ვლადიმერ-ვოლინის რაიონის კოლმეურნეობა „კომსომოლეცის“ მექანიზატორმა ი. ს. პოლიშჩუკმა, კიროვოგრადის ოლქის ბობრინეცის რაიონის სუფორეოვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა მ. ლ. გინკულმა, ნიკოლაევის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ავანგარდის“ მექანიზატორმა ვ. პ. პოკრტილოვმა და ბევრმა სხვამ.

ბევრი კომბაინერი, რომლებმაც დაამთავრეს მკა თავიანთ მეურნეობებში, ყოველწლიურად მიემგზავრება ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც აღოთბა რამდენადმე უფრო გვიან იწყება, და იქ უწევს დახმარება. ჩვენს კოლეგებს განსაკუთრებით კარგად იცნობენ ყაზახეთის მხვნელ-მთესველები. უკრაინელი მექანიზატორები წელსაც გაემგზავრებიან კომბაინებით აღმოსავლეთის რაიონებში მოსავლის ასაღებად, მაგრამ ამისათვის უწინარეს ყოვლისა მალე უნდა დავამთავროთ მკა შინ.

ვითვალისწინებთ რა გაზრდილ შესაძლებლობებს და დამატებითი რეზერვების გამოვენებით, ვალდებულებას ვკისრულობთ:

— მაღალი წარმადობით გამოვიყენოთ თვითეული კომბაინი, სამკელი მანქანა, ტრაქტორი, ავტომობილი და სხვა მანქანები და მექანიზმები, რათა თავთავიანი კულტურები ავიღოთ ათ-თხუთმეტ დღეში; მოკლე დროში ავიღებთ აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს;

— განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ მოსავლის აღების ხარისხს, ოპერატიულად აღმოვფხვრით ყველა უწესივრობას კომბაინებსა და სამკელ მანქანებში, რათა თავიდან ავიცილოთ მარცვლეულის უმცირესი დანაკარგი;

— მზრუნველობით მოვუვლით ტექნიკას, დავზოგავთ ნავთობპროდუქტებსა და სათადარიგო ნაწილებს, ზუსტად დავიცავთ შრომის დაცვისა და სახანძრო უშიშროების წესებს;

— მთელ ძალებს მოვახმართ იმას, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უთუოდ შეასრულოს გეგმა-შეკვეთა, მისცეს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი რაოდენობის მარცვლეული და სხვა პროდუქცია გეგმის გადამეტებით.

ძვირფასო ამხანაგებო!

სანმუშოდ მოვემზადოთ, ორგანიზებულად ავიღოთ მოსავალი და დავამზადოთ მარცვლეული და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტები — ჩვენი ღირსების საქმეა და სამშობლოსა და პარტიის წინაშე ჩვენი პატრიოტული ვალია. მაშ ნუ დავიშურებთ ძალღონეს, ენერგიასა და უნარს, რათა წარმატებით შეგასრულოთ ეს დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა.

წერილი განხილული და მიღებულია უკრაინის სსრ კომბაინერთა კოლეგიურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებში გამართულ კრებებზე.

გრიგოლ აბაშიძე

ჰიმნი სამშობლოს

რაც დაიმკვიდრე ეს მთა და ბარი,
რაც ქვეყნად ახსოვთ შენი გაჩენა,
არ შეგშრობია ჯერ ოფლის ღვარი,
არ მოგქანცვია გარჯით მარჯვენა.

ახვევდი ვენახს,
ადნობდი ფოლადს
და შენ გესმოდა ალბათ მაშინაც,
რომ არა მხოლოდ ხმალმა და ბრძოლამ —
გარჯამ და შრომამ გადაგარჩინა.
შენს თვალწინ გაჰქრა მრავალი ტომი,
ცეცხლში გაწრთობდა ცხოვრება მკაცრი,
და, რაც სიამე გაიგე შრომის,
იმ დღიდან იცი ცხოვრების აზრიც.
ათას ცეცხლში და გრიგალში გახძელ,
შენს მნახველს მართლა უნდა უკვირდეს!
შენ აშენებდი დაქცეულს ასჯერ,
უფრო მაღალს და უფრო უმკვიდრესს!

და შენ აღხდექი,
განახლდი როცა,
შენი ხმა ახლა რა შორს გაისმის!
შენ ახალმა დრომ მძლავრი ფრთა მოგცა
თავისუფალი შრომის ხალისის.
ხარ შემოსილი სიმწვანის ფარჩით,
წინ სიჭაბუკის მწვანე გზებია...
შენ დაამტკიცე შრომით და გარჯით
თავისუფლებას რა შესძლებია!
სიცოცხლე მოაქვთ
არხებს, კაშხალებს,
ელავს ფაფარი მწვანე ჯეჯილთა,
გულს ის ახარებს,
თვალს ის ახარებს,
რაც გიშრომია ახე ბეჯითად.
მწვერვალებს იპყრობს წინსვლის წადილი,
და შენც დარწმუნდი, ვით სხვა მრავალი,
რომ შრომაშია მხოლოდ ნამდვილი
ბედნიერება და მომავალი,
რომ გზა იოლი არა ღირს კვეხნად,
შუქს მოსაჩვენარს გააქრობს ბინდი,
და არ არსებობს.
არ არის ქვეყნად
ბედნიერება შრომაზე დიდი.
და ხულ ობრწყინებს უჭკნობი ნათლით,
არასდროს კვდება,
არა ბერდება
მხოლოდ მართალი მარჯვენის მადლი,
მხოლოდ მართალი შემოქმედება!

მაშ, შთაგონება ახლის შენებას,
ადიდე შრომა ალალმართალი,
ძველზე ლამაზი შეჰქმენ მშვენება,
წიგნიც — რუსთველის წიგნის ბადალი.
ადიდე მძლავრი ზვირთების ზათქი
ცეცხლის გიზგიზი ღამით და დღისით
და ხელთუქმნელი ძეგლები დადგი
შენი დროის და ხალხის ღირსი.

თვითმფრინავის ბორტიდან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. პოსიგინმა, პოლონეთის ტერიტორიას რომ გადაუფრინა პრაღიდან მოსკოვს მიმავალმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ე. გომულკს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბ. იაბლონსკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იარუზელსკის გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომლშიც მომე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს უსურვა წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში. (საკ.ინ.).

საგჭოთა დელეგაცია პრაღიდან დაბრუნდა

8 ივნისს პრაღიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. დელეგაცია მონაწილეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXVII სესიაში.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. ა. პეტროსიანი, მ. ა. ლუსჩინი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. ფ. ბარბაროვი, ვ. ნ. დოროგინი, ა. ს. ნეკორეშინი, ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამოყოფილების გამგის მოადგილე ო. ა. ჩუკანოვი, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის პირველი მოადგილე ვ. ნ. ტიტოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. ა. გრომიკო, ა. ტ. მაზუროვი, ვ. ს. სოლოვიანენკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ე. დემეშინი, ვ. ნ. ნოვიკოვი, ვ. ტ. ნოვიკოვი, ზ. ნ. ნურიევი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ბ. ვ. ბუტომი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ვ. ს. სმირნიტიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული. სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. კ. ცვიგუნი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფ. პროკოფიევი და სხვა ოფიციალური პირნი.

შეხვედრთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ე. ბაბელა. (საკ.ინ.).

ხუთწლედს — ახალგაზრდათა დამკვრელური ოლიმპიადა

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრების მეორე დღე

9 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ერთად შეიკრიბნენ ახალგაზრდა ენთუზიასტები, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე მშრომელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები — საქართველოს ლენინური კომკავშირის ნახევარმილიონიანზე მეტი არმიის საოკეთესო წარმომადგენლები.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება განავრცობდა მუშაობას.

პრეზიდიუმში არიან ბ. გ. გიგიბერია, ბ. ვ. ბოლშვილი, ბ. ვ. მელნიკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ხ. ძოწენიძე, ვ. დ. ჯავახიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ს. იაროშოვეცი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, რესპუბლიკის ახალგაზრდობის საოკეთესო წარმომადგენლები.

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო „**საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის აქტივობის გასაადიდებლად**“ თავისი გამოსვლით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთიმართველისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსმდივანმა ვ. დ. კუპრაძემ.

— თქვენ, — მიმართა მეცნიერმა ახალგაზრდებს, — წარსული თაობების დიადი მემკვიდრეობის ბედნიერი მემკვიდრეები და გამგრძელებლები ხართ. და იმაზე, თუ როგორ მოემზადებით უკეთ და უფრო სრულად გონებრივად და სულიერად, ფიზიკურად და ზნეობრივად, როგორ გამოიწრთობთ პატრიოტთა და მოქალაქეთა მებრძოლურ ხასიათს, ულიდესწილად არის დამოკიდებული იმ ძვირფასი მემკვიდრეობის ბედი, რომელიც გადმოგვცეთ თაობათა ესტაფეტით.

ტრიბუნასთან მიდიან რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან დ. ვ. ლომაძე, წარჩინებული მეჩაიე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ა. უუფუნოა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ი. რ. ხვიდელიანი, წარმოების ცნობილი ნოვატორები მ. ხ. ალოფოვი და ბ. ზ. ტენიშევი, სსრ კავშირის საბალეხო ატლეტი ვ. ი. ანჯაფარიძე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. ხ. პაიჭაძე. მათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნას თაობათა მემკვიდრეობის ნიშნად გადასცეს წიგნი — სოფლინის სახით მხატვრულად გაფორმებული „სიტყვა ახალგაზრდობისადმი“ — ძველი ვეტერანის წარმომადგენელთა მიმართვა თაობათა ცვლისადმი.

ვეტერანები დამსწრეთა ტაშის გრიალში ადიან პრეზიდიუმში. ოქტომბრელთა ჯგუფმა მათ წითელი მიხაკების თაიგული მიართვა.

ტრიბუნაზეა ე. კ. შარტავა.

— ნება მიბოძეთ, — თქვა მან, — კომკავშირული აქტივის კრების მონაწილეთა სახელით, რესპუბლიკის ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდის, სახელით გულწრფელი მადლობა ვუთხრა უფროს ამხანაგებს და აღვუთქვა, რომ რესპუბლიკის ქალაქებიდან და ჭალუკები ჟალეოფრის ოლონებენ, რათა განაგრძონ თაობათა ესტაფეტა და დაუმტკიცონ ჩვენს ხალხს, რომ ქვეყნის მომავალი საამედო ხელშია.

ამხ. შარტავამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა ინტერნაციონალისტური მეშობისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის ძირითადი გაუმჯობესების საკითხს.

კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის მეშობაზე, პარტიულ ხელმძღვანელობაზე — ლენინური კომკავშირის წარმატებათა საფუძველზე, სრულიად საკავშირო ალკკ წევრების აქტივობისა და თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ს. აბდუშელიშვილმა, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ს. კოტაევმა, ეგნერეტესის დაკვრელური კომკავშირული მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. გ. ნაჭუ�mა, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. მ. სარიშვილმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კომკავშირული მუშაობის ეფექტიანობა უნდა იზომებოდეს ახალგაზრდობის იდეური სიმწიფით, კლასობრივი და მარქსისტულ-ლენინური წრთობის დონით.

სერიოზული ყურადღება დაეთმო კომკავშირული კადრების განაწილებასა და აღზრდაში არსებულ ნაკლოვანებებს.

კრებაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის. დიდი კმაყოფილებისა და პატრიოტული სიამაყის გრძნობით მოისმინეს კრების მონაწილეებმა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის ხელშემწყობის ჯ. ჯ. ბარბაქაძის, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის მწველავის მ. ჯ. ტურაშვილის, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ მოშის ლ. ა. ცუკუბას, ბახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიის ლ. დ. გობრონიძის, „მთავარი თბილმშენის“ გიორგიანების № 15 ტრესტის მშენებელთა ბრიგადის ხელძღვანელის თ. ი. ქართველიშვილის, მარნეულის რაიონის ყულარის საბჭოთა მეურნეობის მოშის ხ. ვ. მამედოვის გამოსვლები.

მოსწავლეთა, სტუდენტთა, მეცნიერ მუშაკთა აღზრდის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნენ გადმოსვლები თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ნ. შ. ვახაძემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ვ. რ. გარხავანაშვილმა, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სახანის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა დ. დ. თომაშვილმა.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ჭადრაკში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ბ. გაფრინდაშვილმა ილაპარაკა რესპუბლიკაში მასობრივი ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების ამოცანებზე.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ბ. ვ. მელნიკოვი თავის გამოსვლაში შეეხო ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებს.

კრების მონაწილეები დიდი აღმავლობით შეხვდნენ შავი ზღვის წითელდროშოვანი სამხედრო ფლოტის ფლოტილიის, რომელსაც მეთაურობს პოლტავსამმართველოს უფროსი, ეფიცერი ადმირალი ი. ს. რუდნევი. შეკრებილთა ტაშის გრიალში მან რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციას გადასცა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო საბჭოს სამახსოვრო დროშა, რომლითაც ივი დაჯილდოდა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდაში, სამხედრო სამსახურისათვის მის მომზადებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი კომკავშირის შეფობის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

კრებაზე გამოვიდნენ ოქრეთვი საქართველოში სტანანოვური მოძრაობის ერთ-ერთი წამოწყები, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღარო სამმართველოს დირექტორი ვ. ვ. სამხარაძე, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, პოეტი მ. ა. ლებანიძე, საქართველოს ალკკ თელავისა და ბოგდანოვკის რაიონების პირველი მდივნები რ. შ. ღარიბაშვილი და რ. ო. მგდესიანი.

კრებაზე გამოსულმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ს. იაროშოვეცმა აღნიშნა, რომ პარტია და მთავრობა ლენინურ კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობას დიდ როლს ანიჭებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის გეგმების განხორციელებაში. და ეს მათ აღიქვეს როგორც დიდი ნდობა, როგორც ცხოვრების კანონი.

განხილულ საკითხზე მიღებულია რეზოლუცია.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდობისადმი.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან ს. ა. ბრეჟნევს.

აქტივის კრება დახურულად ცხადდება. ყველა ფეხზე დგება და მღერის „ინტერნაციონალს“.

ამავე დღეს კრების მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ს. ლენინის ძეგლი.

საღამოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის კრების მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. კონცერტს რეჟისორი იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ე. ჩხარტიშვილი. (სანინფორმი).

სხვადასხვა თაობის ადამიანები მოვიდნენ საქართველოს კომკავშირელთა აქტივის კრებაზე. აქ იყვნენ ვეტერანი სტახანოველებიც და ძველი რევოლუციონერებიც.
ხელრთაზე: საქართველოს კომკავშირული აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი: მარცხნიდან — მ. დოხტურიშვილი, ე. ჩხაიძე, სტახანოვური მოძრაობის ვეტერანი ვ. სამხარაძე, ჯ. ბახილაძე და მ. ნიფარაძე.
ბ. ბოგოსიანის ფოტო.

ვიშრომოთ, ვისწავლოთ, ვიცხოვროთ ლენინურად!

რეპორტაჟი კომკავშირული აქტივის კრებიდან



კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას. ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას.

ვ. ი. ლენინი.

კომკავშირული აქტივის კრების დარბაზში.

ფ. ბოგოსიას ფოტო.

პარტია მუდამ იყო კომკავშირის უფროსი მეგობარი, კეთილი მრჩეველი და დამრიგებელი, მუდამ გულთან ახლოს მიიკონდა ახალგაზრდა თაობის ფიქრები, სურვილები, მისწრაფებანი.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ახალგაზრდობა — ქვეყნის ვარდობა... ვიხსენებთ პოეტის ამ სტრიქონს და სწორედ ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად მივუყვებით ფართო ქობეებს საქართველოს სხრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზისაკენ. უკვე ამ კიბეებზე, აგრეთვე დარბაზის გარშემო დიდ ფოიეში, სადაც ფართო ფანჯრების წყალობით თავისუფლად აშუქებს მზე, ჩვენ დავინახეთ აქტივის კრების სახე: აშოლტილი ფიგურები, ჯანსაღი ღიმილი, ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი მხიარული განწყობილება, და ხუბარიც, საუბარი, რომელიც ახლა გაუჩადებათ, მიუხედავად იმისა, გუშინ იცნობდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა, ახალგაზრდულია.

სწორედ ეს ხალისიანი ადამიანები, რომლებიც სულ რამდენიმე წუთის შემდეგ სხდომათა დარბაზში შევლენ, რომ ქვეყნისათვის, კომკავშირისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხები განიხილონ, ხვალ თუ ზეგ ისევ შინ დაბრუნდებიან და კვლავ დადგებიან თავიანთ სახარატო ადგილებთან. მიუხედავად ამ კომბაინების საქმეებსა თუ სასწავლებლის მერხებსა, ავლენ მშენებლობის ხარაჩოებზე. ერთი სიტყვით, შეუდგებიან თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას.

ეს ახალგაზრდული თავყრილობა ერთი რამითაც არის საგულისხმო. ჟერდზე მოკიაფე ოქროს გარსკვლავები, მთავრობის ორდენები და მედლები თვალნათლივ ადასტურებენ, რომ საქართველოს კომკავშირი, ჩვენი ახალგაზრდობა დიდი ლენინის ანდერძის ერთგული, რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიულად შრომობს კომუნისტური მშენებლობის საპატიო და რთულ უბნებზე. რესპუბლიკა ამყობს ისეთი ახალგაზრდული სახელებით, როგორიც არიან თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი მზია არაბიანაშვილი, ლენინუთის რაიონის ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი თამარ ჩხაიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ხაამქროს მეფოლადის თანაშემწე, საქართველოს ალკკ ფენტრალური კომიტეტის წევრი ალვარ ბანიძე, ხოსუმის გზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ანა ავიძბა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთამმართველის კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლის ხელმძღვანელი ჯუმბერ ბახსორიძე, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი შუქრი აბაკელია, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ოსნის“ მეერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი ნინო დუბაკოვა, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ცალიცხვიანი ექსკავატორების მემანქანეთა შორის ნაზიბროლა ხასაია, „მოგართბილმშენის“ № 15 ტრესტის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ბილარ ქართველიშვილი, თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ხარატი რაზიკ შაინიანი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი ხაამქროს ოპერატორი ასპერ შარადოვი და ბევრი სხვა.

I

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად აქ მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ბოელი რიგი სამეწარმეოებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, ხუთწლედების გმირები. და ეს გასაგებიც არის. ჩვენი პარტია, რომელიც ასრულებს ლენინის დანაბარებს, მუდამ ზრუნავს თავის საიმედო რეზერვსა და თანაშემწეზე. კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე. ახალგაზრდობის ძალების სწორად წარმართვაზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული მრავალი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, რადგან, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, „ძნელი წარმოსადგენია საბჭოთა და კულტურული მშენებლობის ისეთი უბანი, სადაც არ იყენებდნენ კომკავშირელთა ენერგიას, შემოქმედებასა და შემართებას“.

მიზანი, რომ აქტივის კრებაზე მოვიდნენ ძველი ბოლშევიკები და კომკავშირელები, ომისა და შრომის ვეტერანები, უფროსი ამხანაგები, ის არის, რომ გულახდილად, საქმიანად და პრინციპულად მოილაპარაკონ, თუ როგორ აგრძელებს საქართველოს კომკავშირი უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს, ავლენს, თუ არა „ვიწრო ადგილებს“, როგორ შრომობს, სწავლობს, ცხოვრობს XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების საქართველოს ახალგაზრდობა, როგორია მისი წვლილი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში და რა დახმარება სჭირდება მას პარტიული ორგანიზაციებისაგან, კომუნისტებისაგან.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით, მჭუხარე, ერთსულოვანი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. მტკიცდება დღის წესრიგი, რომელშიც განსახილველად შეტანილია საკითხი: „საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის აქტივობის გასაადიდებლად“.

კრების თავმჯდომარე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს.

«

მეორე დღეა, რაც საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება მიმდინარეობს... გაჩაღდა კამათი მოხსენების გამო. კრების მონაწილენი ამ მოხსენებას მიიჩნევენ კონკრეტულ და საფუძვლიან სახელმძღვანელოდ რესპუბლიკაში კომკავშირული მუშაობის შემდგომი მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, თვითეული ახალგაზრდა მოქალაქის შემოქმედებითი აქტივობის, ინიციატივის განვითარებისათვის, ლენინური ანდერძის სულისკვეთებით აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებული გზების შემუშავებისათვის.

სიტყვას ამბობს აკადემიკოსი ვ. კუპრაძე. იგი რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო ადამიანებთან — სოციალისტური შრომის გმირებთან, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან ერთად საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს გადასცემს საგანგებოდ გამოცემულ წიგნს, რომელშიც რესპუბლიკის ახალგაზრდობას მოუწოდებენ ღირსეულად განაგრძოს უფროსი თაობის სახელოვანი ეტაპეტა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ორატორები. დიდ, საქვეყნო პრობლემებზე მსჯელობს მუშა თუ კოლმეურნე, მეცნიერი თუ სტუდენტი, კომკავშირული მუშაკი თუ მწერალი...

აქტივის კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეტაპზე კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირეული გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებს სკკპ XXIV ყრილობაზე და მოსკოვში, საიუბილეო სხდომაზე „სსრკავშირის 50 წლისთავის შესახებ“. სიტყვებს კომკავშირის 50 წლისთავის გამო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლებები, რომლებიც იკისრეს მეცხოველეობის ფერმების საკვებით უზრუნველყოფისათვის. ბევრგან მწყემსების ნაკლებობაა, არადანშნულებისამებრ იყენებენ მექანიზატორთა კადრებს, სუსტად წარმოიებს ბრძოლა ჩის პლანტაციების. ვენახის სომეჩრის წინააღმდეგ. ეს და ბევრი სხვა მოუგვარებელი საკითხი კომკავშირული ორგანიზაციების მხრივ მზრუნველ, საქმიან მიდგომას, მოითხოვს.

თითქმის ყველა გამოსული ორატორი აყენებს საკითხს, თუ უკეთ როგორ მოაწყონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მუშაობა „მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილების განხორციელებისათვის.

«

კრების მონაწილეთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევს ის სურვილი, რომ ეკონომიკის აღმავლობისათვის საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერონ საქართველოს კომკავშირის საქმიანობის მეცნიერული საფუძვლები.

ყურადღების ცენტრშია რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების საკითხები.

თვითონ განსაჯეთ, საქართველოში ამჟამად 8.816 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია და 16.168 კომკავშირული ჯგუფია. თუ როგორ წარმართავენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ამ კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობას, ამაზე ძალიან ვრცლად არის ნათქვამი როგორც მოხსენებაში, ისე კამათის მონაწილეთა გამოსვლებში. დიდი ყურადღება ეთმობა პარტიული ბირთვის გაძლიერებას კომკავშირში. საამისოდ ბევრ საყურადღებო ციფრს ასახელებენ.

მაგრამ ამასთან ერთად შეუწყნარებელია, რომ აბაშის, ადიგენის, ახალქალაქის, ბოლნისის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, საჩხერისა და ზოგიერთ სხვა რაიონულ და საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციათა შემადგენლობაში პარტიული ფენა არა თუ არ იზრდება, არამედ, პირიქით, მცირდება კიდეც.



საქართველოს ახალგაზრდობა — ხუთწლედს

გულახდილი სჯა-ბაასი კომკავშირული ცხოვრების დღევანდელობასა და მომავალზე

II

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად აქ მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ბოელი რიგი სამეწარმეოებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, ხუთწლედების გმირები. და ეს გასაგებიც არის. ჩვენი პარტია, რომელიც ასრულებს ლენინის დანაბარებს, მუდამ ზრუნავს თავის საიმედო რეზერვსა და თანაშემწეზე. კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე. ახალგაზრდობის ძალების სწორად წარმართვაზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული მრავალი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, რადგან, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, „ძნელი წარმოსადგენია საბჭოთა და კულტურული მშენებლობის ისეთი უბანი, სადაც არ იყენებდნენ კომკავშირელთა ენერგიას, შემოქმედებასა და შემართებას“.

მიზანი, რომ აქტივის კრებაზე მოვიდნენ ძველი ბოლშევიკები და კომკავშირელები, ომისა და შრომის ვეტერანები, უფროსი ამხანაგები, ის არის, რომ გულახდილად, საქმიანად და პრინციპულად მოილაპარაკონ, თუ როგორ აგრძელებს საქართველოს კომკავშირი უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს, ავლენს, თუ არა „ვიწრო ადგილებს“, როგორ შრომობს, სწავლობს, ცხოვრობს XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების საქართველოს ახალგაზრდობა, როგორია მისი წვლილი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში და რა დახმარება სჭირდება მას პარტიული ორგანიზაციებისაგან, კომუნისტებისაგან.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით, მჭუხარე, ერთსულოვანი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პლენუმზე, სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე, მასწავლებელთა ყრილობაზე.

ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიისა და კომკავშირის საქმიანობაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომკავშირმა თავის მოღვაწეობას საფუძვლად უნდა დაუდოს აგრეთვე საკავშირო ალკკ XVI ყრილობის მასალები, ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს გამართული პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების პრინციპული გადაწყვეტილებანი.

— მაგრამ ამ დოკუმენტების მოთხოვნებს ჯერაც სათანადოდ ვერ ავუწყეთ ფეხი, ვერ გარდავქმენით მუშაობა თანამედროვე ამოცანების დონეზე, — ამბობენ ორატორები.

მართლაც ეს არის ჩვენი კომკავშირის მთავარი ნაკლი და ხარვეზი.

ყურადღების ცენტრში დგას კომკავშირი სადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპების ეფექტიან გამოუენების საკითხები: ახალგაზრდობისადმი კლასობრივი მიდგომა, ახალკობრივი სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, ახალგაზრდობის პრობლემებისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა, ამ პრობლემების ყოველმხრივი მეცნიერული, სისტემატური, კომპლექსური ანალიზი და სხვ.

განვლილ გაწეულ მუშაობას ანალიზს რომ უკეთებენ, კომკავშირული აქტივის კრების მონაწილენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად უბნებზე — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომობს 200 ათასამდე კომკავშირელი. მარტო ის რად ღირს, რომ 1.700-ზე მეტი კომუნისტური შრომის ბრიგადაა, ხოლო 36 ათასამდე ახალგაზრდა კომუნისტური შრომის დამკვრელი, რომ მოძრაობაში — „ხუთწლედს — ახალგაზრდების დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიებაა“ — ჩაბმულია 180 ათასზე მეტი კაცი, ხოლო თაოსნობა — „ხუთი დღე — ოთხ დღეში“! — აიტაცა 62 ათასამდე ახალგაზრდამ.

სულ უფრო ფართოდ შლის მხრებს მეცხოველეთა, მექანიზატორთა, მეჩაიეთა, მეგენაფეთა, მეცეკრუსეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების შეჯიბრება მოწამოქმედების და მეცხოველეობის მაღალი კულტურისა და ეფექტიანობისათვის, შრომის კომპლექსური მექანიზაციისათვის. ვინ მოთვლის, რამდენი სახარგებლო საქმის თაოსანია ჩვენი სოფლის კომკავშირი.

მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ წარმატებებთან ერთად, სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად ბევრ გადამწყვეტ უბანზე მეტად უსიამოვნო ჩრდილებად მოჩანს შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ის ზოგიერთი ციფრიც: მრეწველობაში მომუშავე ათასამდე ახალგაზრდა უხარისხო პროდუქციას უშვებს, შარშან ახალგაზრდა მუშების მხრივ გაცდენებმა თითქმის 200 ათასი საათი შეადგინა. სერიოზული ჩამორჩენაა მშენებლობებზეც, განსაკუთრებით კი საბინაო მშენებლობაში ვერ არის რიგზე საქმე.

კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სრულიად საკავშირო დამკვრელურ, რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ დამკვრელურ მშენებლობებზე კომკავშირელთა გაგზავნის საქმე, უნდა მოგვარდეს აგრეთვე ზაფხულის არდადეგების დროს სამშენებლო ობიექტებსა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის სტუდენტთა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობა.

კომკავშირული შემართება და მგზნებარება აკლიათ ბევრი სასოფლო რაიონის ახალგაზრდებსაც. მაგალითად, ფარავანი ჭალალდზე დარჩა სამხრეთ ოსეთის, ბოლნისის, დმანისის, კასპის, საგარეჯოს რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციათა ის ვალდებულებები, რომლებიც იკისრეს მეცხოველეობის ფერმების საკვებით უზრუნველყოფისათვის.

ბევრგან მწყემსების ნაკლებობაა, არადანშნულებისამებრ იყენებენ მექანიზატორთა კადრებს, სუსტად წარმოიებს ბრძოლა ჩის პლანტაციების. ვენახის სომეჩრის წინააღმდეგ. ეს და ბევრი სხვა მოუგვარებელი საკითხი კომკავშირული ორგანიზაციების მხრივ მზრუნველ, საქმიან მიდგომას, მოითხოვს.

თითქმის ყველა გამოსული ორატორი აყენებს საკითხს, თუ უკეთ როგორ მოაწყონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მუშაობა „მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილების განხორციელებისათვის.

III

კრების მონაწილეთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევს ის სურვილი, რომ ეკონომიკის აღმავლობისათვის საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერონ საქართველოს კომკავშირის საქმიანობის მეცნიერული საფუძვლები.

ყურადღების ცენტრშია რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების საკითხები.

თვითონ განსაჯეთ, საქართველოში ამჟამად 8.816 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია და 16.168 კომკავშირული ჯგუფია. თუ როგორ წარმართავენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ამ კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობას, ამაზე ძალიან ვრცლად არის ნათქვამი როგორც მოხსენებაში, ისე კამათის მონაწილეთა გამოსვლებში. დიდი ყურადღება ეთმობა პარტიული ბირთვის გაძლიერებას კომკავშირში. საამისოდ ბევრ საყურადღებო ციფრს ასახელებენ.

მაგრამ ამასთან ერთად შეუწყნარებელია, რომ აბაშის, ადიგენის, ახალქალაქის, ბოლნისის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, საჩხერისა და ზოგიერთ სხვა რაიონულ და საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციათა შემადგენლობაში პარტიული ფენა არა თუ არ იზრდება, არამედ, პირიქით, მცირდება კიდეც.

თაოგათა ურღვევი კავშირი

აკადემიკოს ვ. კუპრაძის გამოსვლიდან

□

თქვენ, ამ დარბაზში მსხდომმა, ახალგაზრდებმა, აგრეთვე მილიონობით თქვენმა თანატოლებმა უნდა იამაყოთ ჩვენი სამშობლოს წარსულით, მისი გმირული ისტორიით, საიდანაც იღებთ საკუთარი ცხოვრების მაღალზნეობრივ პრინციპებს, მისაბაძ მაგალითებს. თქვენ ძველი თაობების დიდებულ მონაპოვრთა ბენეფიერი მემკვიდრენი და გმირული ტრადიციების გამგრძელებელნი ხართ. ამიტომ პასუხისმგებლობაც მეტი გეკისრებათ. თქვენს კარგ გონივრულ და სულიერ სრულყოფაზე ფიზიკურ და ზნეობრივ სისპეტაკეზე ბევრად არის დამოკიდებული ამ ძვირფასი მემკვიდრეობის ბედი, ამ მემკვიდრეობისა, რომელიც თქვენ ესტაფეტად გადმოგეცთ. უნდა აწრთოთ თქვენი ხასიათი, სრულყოთ თქვენი მოქალაქეობრიობა, პატრიოტობა, ჩამოაყალიბოთ საკუთარი მებრძოლი ხასიათი.

თქვენ ახალგაზრდული მხრებით უნდა ზიდოთ უდიდესი პასუხსაგები საქმე — „უნდა შეინარჩუნოთ ჩვენი მიღწევები, განამტკიცოთ და ამრავლოთ ისინი. ღღეს თქვენ იმ ძველი თაობის თანაშემწენი ხართ, რომელიც ხომალდის საპეპესთან დგას, და ეს ხომალდი ჩვენი სამშობლოა.

გაიღვლის ცოტა ხანი და საპატიო საჭე თქვენს ხელთ იქნება, ქვეყნის ბატონ-პატრონი თქვენ იქნებით. ამიტომ აქედანვე უნდა ემზადებოდეთ ამისთვის, განუხრელად, თავდაუზოგავად უნდა გაიღრმაოთ ცოდნა — უნდა ისწავლოთ, ისწავლოთ და კიდევ ისწავლოთ!

დაეუფლეთ მეცნიერების საფუძვლებს, სრულყოფით და დახვეწით თქვენი ხელოვნება, ხელობა, ოსტატობა, პროფესია, ისწავლეთ დიდ თასეულობათა შექმნა, გახდით მისაბაძნი, სამაგალითონი.

სადაც უნდა იყოთ, ცხოვრების რა უბანზეც უნდა შრომობდეთ, თქვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ იშრომოთ პატრიოსნად, სინდისიერად, ძალ-ღონის დაუზოგავად, საქმეში უნდა ჩაალსოვოთ სული და გული, არასდროს არ მოიცილოთ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. ეცადეთ პირადი კარგი მაგალითი მისცეთ სხვებს, გაიყოლიოთ თქვენი ამხანაგები.

დღეს აქ რომ გამოვდიოვარ, ამით დიდ მისიას ვასრულებ. თქვენნამდე მომაქვს ვეტერანთა, ძველი თაობის ადამიანთა აზრები და ფიქრები, აზრები იმ ადამიანებისა, რომლებიც თქვენ ძალიან, ძალიან . გიყვართ და აფასებთ. ეი ამ პატარა ბროშურაშია თავმოყრილი მთი ხმამაღალი ფიქრი და ოცნება. ეს ბროშურა ახლახან გამოიცა.

მინდა ეს „წიგნი-სუგენირი“ საზეიმოდ გადავცე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. დიე ეს იყოს ძველი თაობის მიერ ახალგაზრდა თაობისათვის გადაცემული ესტაფეტის სიმბოლური გამოხატულება!

დაე ამ ესტაფეტამ ახალი შრომითი გმირობისაკენ მოგიხმოთ!

დაე ეს იყოს ჩვენი ძველი და ახალი თაობების ურყევი, მტკიცე კავშირის სიმბოლური გამოხატულება, იმ დიდი პასუხისმგებლობის გამოხატულება, რომელიც ჩვენ გვაქვს სამშობლოს, კაცობრიობის მომავლის წინაშე!

ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრების მონაწილეებს გუშინ ერთი პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელი წიგნი დაურიგდათ...

ვიშრომოთ, ვისწავლოთ, ვიცხოვროთ ლენინურად, კომუნისტურად! წიგნისათვის წამძღვარებულ ამ მომწოდებელ სიტყვებში გადმოცემულია მთელი დიდადარი და მიზანი ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებისა.

ძვირფასო მეგობარო, — ნათქვამია წიგნის შესავალში, — „სიტყვა ახალგაზრდობას“ — ეს არის შენდამი მომართული სიტყვა, ეს არის შეხვედრა რესპუბლიკის ცნობილ ადამიანებთან, რომელთა სახელები შორს ცნობილია მის ფარგლებს გარეთაც. ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხისა და განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლები არიან. მაგრამ მათ აერთიანებთ უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური იდეალებისადმი, თავდადება საყვარელი საქმისათვის. სულიერი სიმშვენიერე, აგრეთვე დამახასიათებელი მარტოოდენ იმ ადამიანისათვის, რომელიც დედამიწაზე თავისი არსებობის აზრს ხედავს შრომაში — შემოქმედებითს, მიზანდასახულ თავგანეულ შრომაში...

დაუფიქრდი, თუ რას გეუბნებიან ეს ადამიანები ცხოვრებისა და მასში ადამიანის ადგილის შესახებ.

ეს ადამიანები არიან: ვერიკო ანჯაფარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი; მირდათ აკოფოვი, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის ორდენოსანი; **ვიორგი** ახვლედიანი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ივანე** ბერიტაშვილი, აკადემიკოსი, ნინო გამცემლიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი; **ნოდარ** დუმბაძე, მწერალი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი; **კირილე** ზავრიევი; გონწმენკეთებელი ქარხნის მეჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი; **ნიკო** კეცხოველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **კონსტანტინე** ილურიძე, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტრო-ვაგონშენებლო მექანიკისა და სელისმგამძლეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ვიქტორ** კუპრაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **პავლე** მელნიკოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი; **თებრო** მოსულიშვილი, პენსიონერი; **ნიკოლოზ** მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი; ვლადიმერ ნანეიშვილი, ავიაციის გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი; **ბორის** პაიკაძე; სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ვასილ** სახბარაძე, „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დირექტორი, სტახანოვური მოძრაობის ვეტერანი; **პავლე** ტენიშჩევი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის ხარატი, ლენინის ორდენოსანი; **მელიტონ** ქანთარია, საბჭოთა კავშირის გმირი; **თამარ** ყუფუნია, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი; **ოვედორე** შავიშვილი, სკკპ წევრი 1921 წლიდან; **აკაკი** შანიძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ზახრა** ჩირაკოვა, ბოლნისის რაიონის სოფელ კოჩულოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ირაკლი** ციციშვილი, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი; **იოსებ** ბაზარაძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი; **იაკობ** ხვედელიანი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

წიგნი გამოსცა საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობამ, **რედაქტორია შ. ყარყარაშვილი.**

ახალგაზრდები გვირგვინებით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

ფ. ბოგოსიას ფოტო.

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲩᲕᲘᲐᲜᲘ

ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ

აკადემიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ კომკავშირული აქტივის კრებაზე ახალგაზრდობას გზა დაულოცა და ძველი გვარდიის ესტაფეტა გადასცა. ახალგაზრდობას ვუძღვნი ამ ლექსს.

□

შენა გაქვს საწუთრო
რთული და დიადი,
რთულიო, ამ სიტყვას
მიზეზად იტყვიან...
ორი გზა არსებობს —
ერის და პირადი,
იარე ერის გზით,
ის ჭეშმარიტია!

შენ თუ მოისურვე
მარსზე დასახლდები,
მაგრამ გულს და რწმენას
იქაც არ შეიცვლი.
მოჭრილია ყველა გზა
უკანდასახევი,
მოგცეს ესტაფეტა,
წინ!
აბა, შენ იცი!

სიხლის ფასი დაჯდა
ლურჯი სასახლენი...
დღე არის ნათლობის,
ხელდასხმის, მოლოცვის,
მოჭრილია ყველა გზა
უკანდასახევი,
მოგცეს ესტაფეტა,
წინ, წინ,
მხოლოდ წინ!

შენი სათიბია,
შენი მთა და ხევი,
მტერი მოგაშორეს,
მტერი დაგიმარცხეს.
მოჭრილია ყველა გზა
უკანდასახევი,
მოგცეს ესტაფეტა,
ჩქარა, აიტაცე!

ჯერ ხარ საიდუმლო,
ჯერ ხარ გასამხელი.
ხალხი გელოდება,
ხალხი გარინდულა...
მოჭრილია ყველა გზა
უკანდასახევი,
მოგცეს ესტაფეტა,
მიდი, რაინდულად!

შენა გაქვს საწუთრო,
რთული და დიადი,
რთულიო, ამ სიტყვას
მიზეზად იტყვიან...
ორი გზა არსებობს —
ერის და პირადი,
იარე ერის გზით,
ის ჭეშმარიტია.

1973 წლის 9 მაისი.

10 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღე

მომხმარებელი და მსუბუქი ინდუსტრია

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საწარმოებში დაიბადა ბევრი ინიციატივა სამუშაო დროის ეკონომიის. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. საყოველთაო ენთუზიაზმმა გაუმჯობესა საერთო მაჩვენებლები, თანდათან მცირდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. ეი ამ საკითხებზე და მოგზავლის ამოცანებზე მოგვითხრობს მინისტრი ამ სტატიაში.

როცა ანალიზს ვუკეთებთ განვლილ 5 თვეში გაწეულ მუშაობას, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახულმა ღონისძიებებმა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების დარგში, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის მსუბუქ მრეწველობაშიც. ამაღლდა მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობა ყველა რგოლში, განსაკუთრებით საკვლევ და ტექნოლოგიური დისციპლინების დაცვის საქმეში.

გასულ წლებში სამინისტროს მეტად არასახარბიელო მაჩვენებლები ჰქონდა სამუშაო დროის გამოყენების, მანქანა-დანადგარების მოცდენების დარგში. წელს კი 5 თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102,1 პროცენტით იქნა შესრულებული, გეგმის ზევით რეალიზებულია 7 მილიონი მანეთის ნაწარმი, საერთო პროდუქციის გეგმა შესრულდა 102,6 პროცენტით, გამოშვებულია 7.986 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ხუთწლედში გათვალისწინებული ზრდის ტემპმა რეალიზაციაში შეადგინა 104,1 პროცენტი, სოლო საერთო პროდუქციაში — 103,6 პროცენტი.

როცა მიმდინარე წლის 5 თვის შედეგებს განვიხილავთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მოცულობით დიდმა და ტექნოლოგიათა რთულმა საწარმოებმა, როგორიც არის გორის ბამბეულის კომბინატი, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი, ქუთაისის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება, კამვოლური დართვის ფაბრიკა, დასძლიეს ჩამორჩენა და მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. და რაც მთავარია, გარდა ზორის ბამბეულის კომბინატისა, ეს საწარმოები გადაჭარბებით ასრულებენ ნატურპროდუქციის გამომშვების გეგმებს. მიმდინარე წლის დასაწყისიდან ყოველდღიურად მცირდება ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. იანვარში თერთმეტი ჩამორჩენილი საწარმო იყო, მაისში კი — მხოლოდ ხუთი.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებას გარკვეულად შეუწყო ხელი სოციალისტური შეჯიბრების შემდეგმა სრულყოფამ. მიმდინარე წელს ბევრი ახალი და საყურადღებო ინიციატივა დაიბადა. მათ შორის აღსანიშნავია თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს ქვეოსტატის ვასილ გეგეშიძის ინიციატივა, რომელიც განხილება და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილმა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ. მქსოველთა ბრიგადამ, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ვ. გეგეშიძე ხელმძღვანელობს, გადაწყვეტა „მოძრავი გრაფიკით“ დაისვენოს და მინიმუმამდე შეამციროს მანქანების მოცდენები. ამ მეთოდის დანერგვით მარტო სათავო საწარმოში წლის ბოლომდე დამატებით გამოშვებული იქნება 260 თუნდ გრძივი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. სამინისტროს კოლეგიამ და მსუბუქი მრეწველობის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გაერთიანებულ სხდომაზე მოიხმინეს ეს თაობნობა და მიიღეს ერთობლივი დადგენილება მისი ფართოდ დანერგვის თაობაზე.

არა მარტო მსუბუქ მრეწველობაში, არამედ საერთოდ რესპუბლიკის მრეწველობაში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მრთველის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მზია არათანშვილის თაოსნობამ — „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“.

ამ დღეებში გორელმა ფეიქრებმა კარგ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი. მათ კომბინატში მიიწვიეს თბილისელი ნოვატორი მრთველი ვ. არათანშვილი, რომელმაც ერთი სამუშაო დღე კომბინატში გაატარა და თავისი მუშაობის მეთოდი გორელ ფეიქრებს გაუგზავნა. დაიბადა ახალი შეჯიბრება — კომბინატის მრთველმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მერი ტატარაშვილმა ვ. არათანშვილი შეჯიბრებაში გამოიწვია. შეჯიბრების ეს ახალი ფორმა მეტად ეფექტური და მისაბაძია.

ყოველმხრივ მზარდაჭერის ღირსია აგრეთვე თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომჭრელის გივი რიმნისთაველის ინიციატივა. ნოვატორმა გამომჭრელმა ვალდებულება იკისრა წლიურად დაზოგოს 20 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი და დაზოგილი ნედლეულით საწარმოს მისცეს 5.000 წყვილი ფეხსაცმლის საძირე.

სამინისტრო, საწარმოთა კოლექტივები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ანალიზს უკეთებენ ჩვენი ნოვატორების ამ ახალ მრომითს ჩვევებს, მეთოდებს და ნერგავენ მათ დარგის ყველა რგოლში, ეძებენ მატერიალური და მორალური წახალისების საშუალებათა უფრო სრულყოფილად გამოყენების გზებს.

ფეიქართა ზეიმი

თბილისის ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში 8 ივნისს გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეს.

სხდომა გახსნა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ღავთაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. გამცემლიძემ.

გამოვიდნენ აგრეთვე ი. გაგარინის სახელობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მრთველი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ქემმაშელი, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ დირექტორი გ. ჯანაშია, გორის ბამბეულის კომბინატის მრთველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ტატარაშვილი და სხვ.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. პატარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე.

(საქინფორმი).

ჟურნალისტთა ყურადღებისათვის

**ოთხშაბათ, 9 ივნისს, 18 საათზე ჟურნალისტთა სახლში (ბარათაშვილის ქუჩა, 8) ინფორმაციულ-ანალიტიკური ჯგუფის ინიციატივით ეწყობა ლექციები-ინფორმაციები ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ეთნოგრაფიულ, ბიბლიოთეკათმცოდნეობრივ, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტებში, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ იზრდებიან მომავალი ლუტგარეგი. ქორეოგრაფები

ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი ერთ-ერთი კერაა ჩვენს რესპუბლიკაში. სადაც სპეციალობას იმაღლებენ თვითმოქმედი წრეების და კოლექტივების ხელმძღვანელები — მომღერლები, ლოტბარები, ქორეოგრაფები.

მრავალი წელია სასწავლებელთან შექმნილია ქართული ხალხური სიმღერის და ცეკვის ანსამბლი — აჭარაში ერთ-ერთი ნიჭიერი და საინტერესო თვითმოქმედი კოლექტივი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ზოიძე. ქორეოგრაფები —ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალის, საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი რ. ბანიშვილი და საკავშირო ფესტივალის ლაურეატი თ. ბიბილეიშვილი.

სურათებზე: ცეკვა ხორუმი.

ხ. კილაძის ფოტო.



დადგა პიონერული ზაფხული

დედაქალაქიდან შავი ზღვისაკენ დაიძრნენ ალიხ-ფერაელსახვევიანი გოგონებების რაზმეულები — დადგა პიონერული ზაფხული. გუშინწინ თბილისს-ხოფის მატარებლით აფხაზეთის კურორტებზე ლენინელისა და ახალ ათონში გაემგზავრა 100 პიონერი, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა შვილები.

სიცოცხლით სავსე, შინაარსიანი დასვენება ელით ბავშვებს.

სურათზე: გზა მშვიდობისა!..

ბ. ქიმერიძის ფოტო.

ჭიათურული კერამიკა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაზიებში გამოჩნდა მშვენივრად ნახელავი დოქები, სურები, სახილები, ჯამ-ფიალები, საყავიანი ქოთნები, საფერფლეები, ლიქიორისა და წყლის სერვიზები... ეს ჭურჭელი დამზადებულია ჭიათურის სამრეწველო კომბინატის ახლადშექმნილ კერამიკის საამქროში, რომელსაც ლ. ბაჟანდაძე უძღვება.

ნატიფად გამოძერწილი და მომინანქრებული ჭურჭლის დამზადებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საამქროს მთავარ მხატვარს რ. ქველაძეს, ოსტატ ნ. ღვინჭლიანს, კერამიკოსებს მ. ბრეგვაძეს, ვ. სვედელიძეს, მ. ცარციძეს, ც. სამსარაძეს და სხვებს.

მყოფველებს მოსწონთ ჭიათურელ ოსტატთა ნახელავი.

აკადემიკოსი თანასოფელელებთან

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ მეორე სვირში დაიბადა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი. იგი მშობლიური სოფლის ხშირი სტუმარია. ამ დღეებშიც ეწვია იგი თანასოფელელებს. მან სასოფლო კლუბში წაიკითხა ლექციები თემაზე — „აღზრდის სოციალური პრობლემები“.

ლექციის ესწრებოდნენ ავრეთვე სოფლების პირველი სეირისა და როდინოულის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახალგაზრდები.

სიახლე სოფლად

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ სოფელ საკეციაში გახსნა ახალი სამკერვალო საამქრო. იგი მომსახურებას უწევს ავრეთვე მეზობელი სოფლების — შრომისა და ზნაურის მცხოვრებლებს.

ბუნაგი

დანაშაულობათა კვალდაკვალ

უველას აინტერესებდა სასამართლო პროცესი. პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ბრალდებულისა და დაზარალებულის ნაცნობები, ნათესავები, მეზობლები, ცნობისმოყვარეები...

— თქვენი გვარი? — ჰკითხა დამნაშავეს სახალხო მოსამართლემ.

— ჯიქურაშვილი! — იყო პასუხი.

— სახელი და მამის სახელი?

— ზურაბ ვახტანგის-ძე.

— სად მუშაობთ, სად სწავლობთ?

— არსად!..

შემდეგ პროკურორმა გამოირკვა, რომ ხაშურიდან თბილისში ჩამოსულმა ზურაბ ჯიქურაშვილმა ძველი მეგობრები მერაბ და ვალერი ლაცაბაძეები მოინახულა, ერთი-ორი ჭიქა ლუდი დალიეს და ავტომობილით ერმაღელოსაკენ გასწიეს. როგორც კი მიუახლოვდნენ ჯირეთის სახელობის ჩაის ხამშენებლო ქარხანას, ავტომობილი შეაჩერეს.

მანქანიდან გადმოვიდა ზურაბ ჯიქურაშვილი და ავტობუსის გაჩერებასთან. მდგარ გოგონას ეთ-ძეს გამოელაპარაკა.

— როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით?

გოგონას შეეშინდა და გაიქცა.

— ღმერთო კი მომკალი, ნუთუ არ გახსოვარ, მანანამ ხომ გამაცნო თქვენი თავი? — არ ეშვებოდა გოგონას ზურაბი.

ქალიშვილი დაიბნა. ზურაბმა კი ძალით ჩასვა ავტომობილში. შემდეგ გოგონას კარგად არც კი ახსოვს, როგორ მოხვდა ავჭალის გზატკეცილის ზემოთ, თემქის დასახლების ოცდამეორე კორპუსის მესამე სადარბაზოს მოოთხე სართულზე ერთოთახიან ბინაში.

— რატომ კრთით, გენაცვალე, ეგ ამხანაგებიც! — ღიმილნარევად უთხრა ზურაბმა ქალიშვილს და სუფრის გაშლას შეუდგა.

— არა გრცხვენიათ, ჩვენ წესიერი ახალგაზრდები ვართ, — ბანი მისცეს ზურაბის მეგობრებმა და უცნობ ქალიშვილს დაშინებენ დაიწყეს. მერაბ და ვალერი ლაცაბაძეებთან ერთად კონიაკის ბოთლებით დამშვენებული სუფრის შემოესხდნენ ავრეთვე ავტოავარიისათვის რვა წლით პატიმრობაში ნამყოფი ზურაბ მთიულიანი და მცირეწლოვანი გოდერძი ლომაძე.

სახელოახალო სუფრაზე სიმღერაც შემოძახეს.

ქალიშვილს ლუკმაც არ ეაუდვა პირში, ჯალიში ჯამიშწყდეულ ჩიტსა ჰგავდა, გაქცევაზე მიუწევდა გული.

ფიქრობდა: იქნებ მართლა გამაცნო მანანამ, მაგრამ ავტომობილში რომ ძალით ჩამსვეს! ან რატომ არ მიშვებენ სახლში?.. ამკარად გრძნობდა რაღაც უბედურების სიახლოვეს.

როგორც იქნა სუფრა დაიშალა. ზურაბის თვალის ჩაკვრაზე მისი ერთგული ძმაკაცები სწრაფად შიმოფანტნენ.

უცნობი ქალიშვილი ოთახის კარს ეცა, მაგრამ ის მაგრად ჩარაზული აღმოჩნდა. გამხეცებულმა ზ. ჯიქურაშვილმა აინუნშიაც არ ჩაიდო გოგონას ხვეწნა-მოდარა, კივილი... შემდეგ ქალიშვილი ნელოდან გაუსწორა ორიეზი მხრეს და მეოთხე სართულიდან გადმოეშვა. გოგონა მძიმედ დაშავდა, მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა სიკვდილს.

შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვდა.

დამნაშავე კი შეეცადა მიმალულიყო, მაგრამ მისი ცდა ხანმოკლე აღმოჩნდა, მილიციის მუშაკებმა შეიპყრეს.

ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ო. აგლაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ მ. ონიანის მონაწილეობით დამნაშავეს ზ. ვ. ჯიქურაშვილს მიუსაჯა თორმეტ წლით პატიმრობა სასჯელის გაძლერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

სახალხო სასამართლომ ორი კერძო განჩინება გამოიტანა. სხვა დამნაშავეების — მერაბ და ვალერი ლაცაბაძეების, ზურაბ მთიულიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

მაინც ვის ეკუთვნოდა მეოთხე სართულზე ერთოთახიანი ბინა, რომელშიც გარეწარი ზ. ჯიქურაშვილის „ძმაკაცები“ — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები თამერ ქასრაშვილი და გურამ ლაცაბაძე ცხოვრობდნენ?

ეს ბინა ცოლ-ქმრის გერასიმე და ლილი გელეშვილებისაა, მათ სახელზეა გაფორმებული.

ისინი რამდენიმე წლის წინათ თბილისში, წყალტუბოს ქუჩაზე № 43 სახლში იყვნენ ჩაწერილნი. თუმცა აქ, სასამართლოს დოკუმენტების მიხედვით, არასდროს არ უცხოვრიათ.

1968 წელს წყალტუბოს ქუჩაზე სახლი № 43 აიღეს, დაანგრიეს. ამ სახლის აღების წინ გერასიმე გელეშვილი ფიქრობდა სწრაფად განქორწინდა მეოთხესთან. ცხადია, მიზანი ერთი იყო: ცალ-ცალკე მიეღოთ ბინები.

ასეც მოხდა. პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა გერასიმე გელეშვილს ერთოთახიანი ბინა მისცა ლენინის რაიონში, მისამართით: თემქის დასახლება, ოცდამეორე კორპუსი, მესამე სადარბაზო, მეოთხე სართული, ხოლო იმავე პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა — გერასიმეს მეოთხეს თბილისგასტრონომიჯარობის ეკონომისტ ლ. გ. გელეშვილს ამავე კორპუსში მეხუთე სართულზე მისცა ოროთახიანი იზოლირებული ბინა, ესეც შენ, შაქრად შეგიგრგოსო.

ბინების მიღებისთანავე გერასიმემ და მისმა მეუღლემ სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ მიიღწიეს, სასაცილოდაც აღარ ჰყოფნიდათ ფარატინა ქაღალდი. კვლავ სიამტკბილობით განაგრძეს ცხოვრება ოროთახიან ბინაში, ხოლო ერთოთახიანი ბინა გაიქირავეს, ოღონ შემოსავლის წყაროდ აქციეს. ეს ოთახი საცხოვრებელი ბინის ნაცვლად ბორტრეტის ბუნაგი — ბორტრეტმოქმედთა თავშესაფარი გახდა.

გასაკვირვებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ბინების მიღებამდე პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა ფიროსმანის ქ. № 22-ში ცოლ-ქმარ გერასიმე და ლილი გელეშვილებს მისცა ოთახი, რომელშიც ცხოვრობდნენ 1963 წლიდან 1968 წლამდე, ფორდოროდ და ვაფორმებლად.

ამ საკითხზეც სახალხო სასამართლომ ჯერო განჩინება გამოიტანა. იგი ელის დამაჯერებელ პასუხს საათანადო ორგანოებისგან.

ასე ნიავდებოდა ზოგჯერ დედაქალაქის უძვირფასესი ფონდი — საცხოვრებელი ბინები...

საჭიროა ამ ფაქტებზე საფუძვლიანად იმსჯელოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

ეი რამდენი რამ გვიჩვენა სისხლის სამართლის № 1/84 საქმემ. მართალია, იგი არქივის თაროზეა შემოდებული, მაგრამ არა დუმს და არც დადუმდება!

ა. გოცირიძე.

ამბების ყულაბა

ველოდზერისტის „ოქრო, თევზი“

ბილიბინა. (ჩუკოტკის ეროვნული ოლქი). ბილიბინის სახელობის კარიერის ბულდოზერისტი გენადი რუშენკოვი ცვლას ამთავრებდა, როცა ბულდოზერით სარეცხ მოწყობილობას ქვეშას აწვდიდა, გ. რუშენკოვი როგორც ყოველთვის დაკვირვებულად იყურებოდა წინ. უცაბ ფრთის დანის ქვეშ აკიაფდა ოდნავ შესამჩნევი მზის სხივები. მექანიზატორმა მანქანა გააჩერა. ფრთხილად აიღო საკმაო ძმიმე „ქენჯი“, რომელიც თვითნაბადი ოქრო აღმოჩნდა. ფორმით იგი საოცრად მოგაგონებთ თევზს. ნაპოვნი სამი ათას რვაასს სამოცდაათი გრამს იწონის.

(ხაკდესის კორ.).

ოცი წლით შეწყდა ნადირობა

ალმა-ათა. (ხაკდესის კორ.). ოცი წლის ვადით აიკრძალა ყველა სახეობის ნადირობა მდინარე ილის დელტას და მის ახლომდებარე რაიონებში — ფრინველთა და ხშირბეწვიანი ონდრატის ამ თავისებურ სამეფოში. ამიერიდან მონადირეებს აქ აკრძალული აქვთ მარტო ნადირობა, არამედ ბუდეში ჩასმული თოფით გავლაც კი. ამ ადგილებში ფრინველებისა და ცხოველების მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფა დაეკისრა ორი სახელმწიფო ნაკრძალის — ბალხაშისპირეთისა და „ილის დელტის“ მუშაკებს. მათ გამოყოფილი აქვთ სავარგულები, რომლებიც ლუქსემბურგის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას აღემატება.



ჭადრაკი

მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეს ბენტ ლარსენს ხშირად ეწვევიან ხოლმე ჟურნალისტები, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ლარსენს ხშირად ერთსა და იმავე კითხვებს აძლევენ, გროსმაისტერმა გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ უპასუხოს მათ. ამიტომ გამოაქვეყნა მან დანიის ხაჭადრაკო ჟურნალში ინტერვიუ საკუთარ თავთან.

ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკედ?

ფილიდორი! იგი არა მარტო თვისი დროის უძლიერესი მოჭადრაკე იყო, არამედ გაასწრო კიდეც თავის თანამედროვე ოსტატებს 50 წლით.

რა თვისებები აქვთ ძლიერ მოჭადრაკეებს?

ეს არის მთელი რიგი ღირსებების ბედნიერი შეხამება — ლტოლვა გამარჯვებისაკენ, თვითკონტროლი, ლოგიკის გრძნობა, ფსიქოლოგიის ცოდნა, სულის სიმტკიცე, ვარიანტების შორს „გათვლის უნარი, კონცენტრაციის უნარი — ერთი სიტყვით, ბევრი ღირსება.

ვინ არის თქვენი ხაჭადრაკო კერპი?

ასეთი არა მყავს.

თანამედროვე მოჭადრაკეებიდან ვის აყენებთ ყველაზე მაღლა?

ერთ მშვენიერ დღეს მე მეჩვენება, რომ ჭადრაკი, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაა. მაშინ ყველაზე მეტად ბრონშტეინს ვაფასებ. სხვა დროს ვფიქრობ, რომ ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს თამაშის პრაქტიკულ მხარეს. მაშინ მაგონდება კერესი, პეტროსიანი, სპასკი. ზოგჯერ თავში მომდის აზრი რომ ფილიდორი.

ეს ბინა ცოლ-ქმრის გერასიმე და ლილი გელეშვილებისაა, მათ სახელზეა გაფორმებული.

ისინი რამდენიმე წლის წინათ თბილისში, წყალტუბოს ქუჩაზე № 43 სახლში იყვნენ ჩაწერილნი. თუმცა აქ, სასამართლოს დოკუმენტების მიხედვით, არასდროს არ უცხოვრიათ.

1968 წელს წყალტუბოს ქუჩაზე სახლი № 43 აიღეს, დაანგრიეს. ამ სახლის აღების წინ გერასიმე გელეშვილი ფიქრობდა სწრაფად განქორწინდა მეოთხესთან. ცხადია, მიზანი ერთი იყო: ცალ-ცალკე მიეღოთ ბინები.

ასეც მოხდა. პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა გერასიმე გელეშვილს ერთოთახიანი ბინა მისცა ლენინის რაიონში, მისამართით: თემქის დასახლება, ოცდამეორე კორპუსი, მესამე სადარბაზო, მეოთხე სართული, ხოლო იმავე პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა — გერასიმეს მეოთხეს თბილისგასტრონომიჯარობის ეკონომისტ ლ. გ. გელეშვილს ამავე კორპუსში მეხუთე სართულზე მისცა ოროთახიანი იზოლირებული ბინა, ესეც შენ, შაქრად შეგიგრგოსო.

ბინების მიღებისთანავე გერასიმემ და მისმა მეუღლემ სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ მიიღწიეს, სასაცილოდაც აღარ ჰყოფნიდათ ფარატინა ქაღალდი. კვლავ სიამტკბილობით განაგრძეს ცხოვრება ოროთახიან ბინაში, ხოლო ერთოთახიანი ბინა გაიქირავეს, ოღონ შემოსავლის წყაროდ აქციეს. ეს ოთახი საცხოვრებელი ბინის ნაცვლად ბორტრეტების ბუნაგი — ბორტრეტმოქმედთა თავშესაფარი გახდა